

ეთნიკური კონფლიქტის მოგვარების გამოუყენებელი ინსტრუმენტები
(აფხაზეთი, ჩრდილოეთ ირლანდია)

მამუკა ჟვანია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მამუკა ჟვანია

20.06.2018

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი არის ეთნიკური კონფლიქტის მოგვარების გამოყენებელი ინსტრუმენტების გამოვლენა. აგრეთვე საინტერესოა თუ რატომ ვერ მუშაობს ერთი და იგივე ინსტრუმენტი ერთნაირად სხვადასხვა კონფლიქტის პირობებში. რატომ აღმოჩნდა არაეფექტური აფხაზეთის კონფლიქტში გამოყენებული ინსტრუმენტები და რა არის ისეთი, რაც არ ყოფილა გამოყენებული და შეიძლებოდა წარმატებით გამოყენებულიყო.

ნაშრომი აერთიანებს თვისებრივი და შედარებითი კვლევის მეთოდებს. მასში გამოყენებულია დარგის ექსპერტების ანალიტიკური დასკვნები, საგაზეთო და სატელევიზიო ინტერვიუები, ყოფილ და მოქმედ პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლები, სახელმწიფო/პოლიტიკური დოკუმენტები, რაც პროცესებზე დაკვირვებასა და ანალიზის გაკეთების საშუალებას იძლევა.

შესწავლილია ორი ქეისი- ჩრდილოეთ ირლანდიისა და აფხაზეთის კონფლიქტი. გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული დასკვნები იმასთან დაკავშირებით თუ რამ განაპირობა ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტის სამშვიდობო პროცესის წარმატებულობა და ეს თვისებრივად შედარებულია აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან.

კვლევის მიზნების შესაბამისად ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზა:

საქართველოს სახელმწიფოს ინსტიტუტების, დემოკრატიის, სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის, თავდაცვისუნარიანობის, უსაფრთხოების გაძლიერება და მათი სიკეთეების პრაგმატული (არადისკრიმინაციული) გაზიარება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის გამოიწვევს აფხაზეთის შეხედულებების შეცვლას, რაც არის კონფლიქტის ტრანსფორმაციის დასაწყისი ნდობისა და კონსესუსის მიღწევისათვის.

კვლევამ დაგვანახა აფხაზური მხარის წარმოდგენაში არსებული სურათი, რაც სრულიად განსხვავდება ქართული მხარისაგან. შესაბამისად, ქართული მხარის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები ადექვატურად ვერ პასუხობს შექმნილ მდგომარეობას.

კვლევამ დაასაბუთა ზოგიერთი პირობის აუცილებლობა, რაც სამშვიდობო ინიციატივებს უნდა ახლდეს მათი წარმატებით განხორციელებისათვის. მათ შორის მთავარია სახელმწიფო ინსტიტუტების მაღალი ეფექტურობა. აგრეთვე გამოვლინდა ისეთი ინსტრუმენტები, რომელებიც ჯერ არ ყოფილა გამოყენებული აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებისათვის.

ნაშრომი დანართის სახით წარმოადგენს კვლევის დასკვნების შესაბამისად შემუშავებულ ზოგიერთ რეკომენდაციას.

ძირითადი კითხვები: კონფლიქტის მოგვარების მზაობა, აფხაზეთის კონფლიქტი, ჩრდილოეთ ირლანდია, ეთნიკური კონფლიქტი, კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო პროცესი, მზაობა კონსესუსის თაობაზე, ჩრდილოეთ ირლანდიისა და აფხაზეთის კონფლიქტის შედარება, კონფლიქტის მოგვარების ინსტრუმენტები.

Abstract

The purpose of the research is to reveal the inapplicable instruments of ethnical conflict resolution. It is also interesting to study why one and the same instrument does not work the same way in the conditions of different conflicts. What was the reason the instruments used in conflict resolution in Abkhazia appeared to be ineffective and what are the instruments that could work successfully but were not applied there yet?!

This thesis combines qualitative and comparative research methods. The source of information for the research comprises analytic conclusions and discussions of field experts, newspaper articles and television interviews, public speeches of former and current politicians, state/political documents. All the above mentioned foundations give the opportunity to observe and analyse the processes.

Two case studies are provided in the thesis – North Ireland and Abkhazia conflicts. Thesis analyses the findings of existing scientific literature regarding the success of peacekeeping process of North Ireland conflict and compares it with the processes developed in the conflict of Abkhazia.

In the framework of the research, below given hypothesis was developed:

Development of state institutes, democracy, social-economic potential, defence capabilities and safety and pragmatic (non discriminatory) distribution of benefits of above mentioned developments among the population of occupied territories will cause a positive change in the standpoint of Abkhazians and therefore this change will work as the source of conflict transformation to reach trust and consensus.

The research revealed that the viewpoint of Abkhazians completely differs from the viewpoint of Georgians and therefore the measures used by Georgian side do not comply with the existing reality.

The research proved the necessity of some conditions to be used in a combination with peacekeeping initiatives to assure the successful implementation of these activities. One of the most important conditions among them is the high level of effectiveness of state institutes. The study revealed some instruments that were never used in the conflict resolution process of Abkhazia.

The thesis provides some recommendations derived from the conclusions of the research in the appendix.

Key words: readiness for conflict resolution, conflict of Abkhazia, North Ireland, ethnical conflict, peaceful process of conflict resolution, readiness for consensus, comparison of North Ireland and Abkhazian Conflicts, instruments of conflict resolution.